



# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

### ***სარეკომენდაციო წერილი***

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულების  
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ხელმძღვანელობას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება ადმინისტრაციულ-  
სამეურნეო სამმართველო  
(პროგრამული კოდი: 02 02)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

## სარჩევი

|                                                          |          |
|----------------------------------------------------------|----------|
| <b>1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....</b>            | <b>3</b> |
| 1.1 ძირითადი აქტივები.....                               | 3        |
| 1.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....                    | 4        |
| <b>2. სხვა გარემოებები.....</b>                          | <b>4</b> |
| 2.1 მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით ..... | 4        |

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

## 1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### 1.1 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სამმართველოს უვადო სარგებლობით, უსასყიდლოდ გადმოსცა 2007 წელს გამოშვებული (ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივი) ავტომანქანა - LEXUS LX-470 0.00 ლარის ნარჩენი ღირებულებით (საწყისი, ისტორიული ღირებულება - 150,500.00 ლარი).

მიუხედავად ავტომანქანის ნულოვანი ნარჩენი ღირებულებისა, აღნიშნული ძირითადი აქტივი სამმართველოს ბალანსზე აღირიცხა სს „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დანართში მითითებული სადაზღვევო ღირებულებით - 45,000.00 ლარით და წლის ბოლოს დაერიცხა ცვეთა - 1,560.00 ლარი.

შედეგად, ავტომობილი საცნობარო მუხლში („ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ - 08) 150,500.00 ლარის საწყისი ღირებულებით აღრიცხვის ნაცვლად, 45,000.00 ლარის ოდენობით არასწორად აისახა ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლში, ბალანსის დანართ ფორმა №5-სა და ბალანსის დანართ ფორმა №3-ის - „საოპერაციო შემოსავლების“ მუხლში გრანტების სახით. ამასთანავე, ავტომობილზე დარიცხული ცვეთის გამო ბალანსის დანართ ფორმებში - № 2-ში, № 3-სა და № 5-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად იქნა გაზრდილი 1,560.00 ლარით.

- ბალანსის დანართი ფორმა №5-ის „მატერიალური მარაგების“ მუხლში (ფულადი დოკუმენტები) საქონელი და მომსახურებით გასვლა 49,522.36 ლარის ნაცვლად, ნაჩვენები იყო 79,522.36 ლარის ოდენობით. შესაბამისად, „მატერიალური მარაგების“ მუხლში ჯამში საქონელი და მომსახურებით გასვლა 129,038.52 ლარის ნაცვლად, არაზუსტად აისახა 99,038.52 ლარის ოდენობით.

შედეგად, სამმართველოს ფინანსური ანგარიშგება არასწორად ასახავს „ძირითადი აქტივებისა“ და „მატერიალური მარაგების“ მუხლებს, რის გამოც არაა დაცული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების შესახებ ინფორმაციის უტყუარობა, სიზუსტე და შესაბამისობა.

რეკომენდაცია №1

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბუღალტრული კორექტირებების საფუძველზე განხორციელდეს გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივის ისტორიული ღირებულებით

ბალანსის საცნობარო მუხლში აღრიცხვა და მატერიალური მარაგების ნაშთების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5-ში) სწორად ასახვა.

## 1.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გამოვლენილი გარემოებები

ბალანსის დანართი ფორმა №2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში ინფორმაცია წარმოდგენილი იყო 36,864.03 ლარის ოდენობით, ფორმა №3-ში - 37,323.13 ლარის ოდენობით (მათ შორის, ფიზიკური ცვეთა - 36,864.03 ლარი), ხოლო ფორმა №5-ში - 33,057.43 ლარის ოდენობით. როგორც დადგინდა, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარებასა“ და „ფიზიკურ ცვეთას“ შორის არსებული სხვაობა 464.10 ლარის ოდენობით წარმოადგენდა ბალანსიდან ჩამოწერილ 193.40 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე გამოუსადეგარ აქტივებს და სხვა სახელმწიფო ერთეულზე განსაკარგავად გადაცემულ 270.70 ლარის აქტივებს. დადგენილი წესის მიხედვით, შინაარსობრივად ზემოაღნიშნული სამეურნეო ოპერაციები არ მიეკუთვნება ძირითადი კაპიტალის მოხმარების ამსახველ ოპერაციებს. ჩამოწერილი აქტივები უნდა ასახულიყო არასაოპერაციო ხარჯად, ხოლო გადაცემული აქტივები - გრანტებად. ფორმა №5-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში არსებული მონაცემების ჯამი ნაცვლად 37,057.43 ლარისა, არასწორად იყო ნაჩვენები 33,057.43 ლარის ოდენობით. ამასთანავე, აღნიშნული თანხა გარდა არასწორად დაჯამებისა, არამართებულად იყო გაზრდილი 193.40 ლარის ჩამოწერილი აქტივების ღირებულებით.

რეკომენდაცია №2

ბუღალტრული კორექტირებების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმებში №2-ში, №3-სა და №5-ში) ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა.

## 2. სხვა გარემოებები

### 2.1 მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ გაურკვეველ ვითარებაში დაკარგული მობილური ტელეფონი - SAMSUNG GALAXY A3 382.80 ლარის ნარჩენი ღირებულებით (შესყიდვის თარიღი - 08.07.2015, საწყისი ღირებულება - 638.00 ლარი), არასწორად აღირიცხა ბალანსის დანართ ფორმა №3-ში არასაოპერაციო ხარჯად. ამასთანავე, როგორც მოპოვებული მტკიცებულებით გაირკვა, აღნიშნული ნივთი იძებნება შსს-ს მობილური ტელეფონების მონაცემთა ერთიანი ბაზის საშუალებით, ხოლო განმცხადებელი გამორიცხავს მის მიმართ კრიმინალურ ქმედებას და ამ მხრივ პრეტენზია არ გააჩნია.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი კანონმდებლობით ნივთის შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, დანაკლისის თანხები აუდიტის ჩატარების მომენტისათვის ანაზღაურებული (დაფარული) არ იყო.

რეკომენდაცია №2

გასწორდეს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმა №3-ში) არასაოპერაციო ხარჯების შესახებ არსებული არასწორი ინფორმაცია და არსებული 382.80 ლარის დანაკლისის დაფარვის მიზნით გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**